საბჭოთა კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა












პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 200 (6255)

11 ოქტომბერი, ოთხშაბათი 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ახალი პრიზის პირველი მფლობელი

**სტარტზე** 25 ქალი მოეწყო — მძლეოსნურ ესტაფეტაში კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო შეჯიბრების მონაწილე საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, დედაქალაქის რაიონების 25 გუნდის პირველი ეტაპის მონაწილენი. ყველას ერთი სურვილი ჰქონდა: ლენინის მოედნიდან პიონერთა სასახლემდე მათთვის განკუთვნილ ეტაპზე როგორმე დაწინაურებულიყო და ესტაფეტა თანაგუნდელისთვის პირველს გადაეცა.

მესტარტის ნიშანზე მწკრივი ერთდროულად დაიძრა, მაგრამ უკვე 50 მეტრის მერე გაირკვნენ ლიდერები. კოლონის სათავეში მოექცნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურისა და ინდუსტრიული ტექნიკუმების წარმომადგენლები.

უკან დარჩა პირველი 300 მეტრი. შემდგომ ეტაპზე, რომელიც ოფიცერთა სახლამდე გრძელდებოდა, ესტაფეტა ვაჟებს მიჰქონდათ. აქ უკვე აშკარა იყო, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა. ამ კოლექტივის წევრმა ო. კასოევმა საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქენი და მომდევნო ეტაპზე თანაგუნდელ ტ. ერიახინას პირველმა გადასცა ესტაფეტა. ამის შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებს ხელიდან არ გაუშვია ლიდერობა.

სხვა გუნდები ფაქტიურად მომდევნო საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ. ესენი იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურის ტექნიკუმისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის წარმომადგენლები.

24 გუნდმა გაიარა ძნელი გზა რუსთაველის გამზირის, ლენინისა და ჩელიუსკინელების ქუჩებით, პლეხანოვის გამზირის, მარქსის სახელობის ხიდის, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ბარათაშვილის ქუჩების გავლით და ისევ ლენინის მოედანზე დაბრუნდნენ, სადაც ფინიში იყო მოწყობილი.

საზეიმოდ მორთულ მოედანზე მრავალრიცხოვან მაყურებელს მოეყარა თავი. აქ პირველი შემოიჭრა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ველ-ოღლი და თავის გუნდს არა მარტო პირველი — უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში გამარჯვება განუმტკიცა, არამედ აბსოლუტურ პირველობაში უძლიერესი კოლექტივის სახელიც.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ეტაპების მიხედვით იყვნენ ვ. ზელენკო, ო. კასოევი, ტ. ერიხინა, ს. მაევსკი, გ. ბალაშვილი, მ. აბზიანიძე, ვ. ივანოვი, გ. ებილაშვილი, მ. დერბიში, ი. სტრელჩენკო, ვ. მელკუმოვი, ვ. ლეკიშვილი, ი. შუმანოვი, გ. ქორფაშვილი, ა. ჩეკუნოვი, ლ. ფარცვანია, ნ. გვრიტიშვილი, ვ. მითაგვარია, ვ. ჰასანოვი, ო. ვიქტოროვა და ნ. ველი-ოღლი საუკეთესო შედეგი — 17 წუთი და 16 წამი აჩვენა.

ამ ნამდვილად ინტერნაციონალურმა კოლექტივმა მოიგო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სახელობის პირველი ჯილდო — ბროლის თასი. მასვე გადაეცა პრიზი პირველი ჯგუფის კოლექტივებში წარმატებისთვის.

ამ ჯგუფში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (17.58,0) და უნივერსიტეტის (18.13,0) გუნდები.

მეორე ჯგუფს შეადგენდა ტექნიკუმების ნაკრები კოლექტივები, რომელთა შორის უძლიერესი განლდათ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის მძლეოსანთა გუნდი, რომლის შედეგია 17.50,0. ამ კოლექტივმა აბსოლუტურ პირველობაში II ადგილი დაიკავა, რაც ტექნიკუმელთა დიდი წარმატებაა. ჯგუფში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ინდუსტრიული (18.16,0) და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების სპორტსმენები — 19.17,0.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსნებმა ფიზკულტურის ტექნიკუმის კოლექტივთან საბოლოო ჯამში 7 წამი წააგეს და აბსოლუტურ პირველობაში III ადგილი დაიკავეს. მომავალი ინჟინრები უფრო მაღალ შედეგთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ მე-11-13 ეტაპებზე უპირატესობა ხელიდან გაუშვეს.

მესამე ჯგუფში საპრიზო ადგილები ხვდათ საქარხნო რაიონის (18.39,0), ორჯონიკიძის (18.58,0) და 26 კომისრის (19.03,0) რაიონებს. ხოლო მეოთხე ჯგუფში ყველას აჯობა სპორტკლუბ „ფეიქრის“ კოლექტივმა, რომელმაც სტარტიდან მთელი წრის შემოვლას 18 წუთი და 15 წამი მოანდომა. II ადგილზეა სპორტკლუბი „მეგობრობა“ — 20.36,0, III — მეტროპოლიტენის სამმართველო — 20.51,0.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. ამაში საქალაქო სპორტკომიტეტის გარდა დიდი დამსახურება მიუძღვით ქალაქის სახელმწიფო ავტოინსპექციას პოდპოლკოვნიკ მ. ჯანჯალიას ხელმძღვანელობით, ქალაქის მილიციის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილებას (უფროსი თ. ცქიტიშვილი) და საგზაო ზედამხედველობის ქვეგანაყოფს (უფროსი რ. ჩარგეიშვილი), რომლებმაც მთელ ტრასაზე სანიმუშო წესრიგი უზრუნველყვეს.

**ო. გელაშვილი.**

• • •

სურათებზე: ზევით მარცხნივ — სტარტი; მარჯვნივ — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სახელობის პირველი თასის მფლობელი — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი; ქვევით — ერთ-ერთ ეტაპზე.

ავტორის ფოტოები.

## საშუბლოს საქმიანდღეოდ

**თბილისის** ორჯონიკიძის სახელობის № 2 სამკერვალო ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა რესპუბლიკაში. კოლექტივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს თვის, კვარტალურ და წლიურ საწარმოო დავალებებს, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ფაბრიკის წარმატებებში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობას, კომკავშირელებს. სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების წლისთავის ზეიმის ღირსეულად აღსანიშნავად წლევანდელი 9 თვის დავალება მკერავებმა გადაჭარბებით გაანაღდეს.

ახალგაზრდა მკერავთა შრომითი წარმატებები იმით არის განპირობებული, რომ მათი უმრავლესობა ფიზკულტურასთან მეგობრობს. რვა სპორტულ სექციაში გაერთიანებულია 720 ახალგაზრდა, რომელთა თითქმის ნახევარი კომკავშირელია. ისინი სპორტშიც მოწინავენი არიან — რაიონულ შეჯიბრებებში წუდამ საპრიზო ადგილებს იკავებენ, ფიზკულტურულმა კოლექტივმა უკვე შეასრულა თანრიგოსანთა და მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმები, გადაჭარბებით გაანაღდეს საზოგადოებრივი კადრების მომზადების დავალება.

როგორც შრომაში, ისე სპორტშიც მოწინავეა ლ. ბუხანკოვას კომკავშირული ბრიგადა, რომელიც ყოველთვიურ საწარმოო დავალებას 102-103,5 პროცენტით ასრულებს. კონსტიტუციის საიუბილეო დღესთან დაკავშირებით ბრიგადამ იკისრა 1978 წლის საწარმოო დავალება 29 ოქტომბრისათვის გაანაღდოს.

...ფაბრიკაში კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება ტარდებოდა. პირველადი ორგანიზაციის მდივანმა მ. მიგინეიშვილმა დამსწრეთ მოუთხრო იმ წარმატებებზე, რასაც შრომასა და სპორტში აღწევენ ახალგაზრდა მკერავები, შეეხო საჭირბოროტო საკითხებსაც. სპორტულ კოლექტივს დღემდე არ გააჩნია დარბაზი. გამოსავალი იმაში ნახეს, რომ შეფებს — 31-ე საშუალო სკოლის დახმარება სთხოვეს მკერავებისთვის დრო გამოყონ დარბაზში სავარჯიშოდ.

**რ. შანშიაშვილი.**

## იზეიმეს, ივასპარეზეს...

**ცხინვალის** სპორტულ ბაზებზე ჩატარდა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, რომელიც მოაწყვეს კომკავშირისა და სპორტის საქალაქო კომიტეტებმა.

ფრენბურთელთა ტურნირში მონაწილეობდა 6 კოლექტივი. ფინალში ქალაქის ელექტროქსელის გუნდმა დაამარცხა მომინანქრებული სადენის ქარხნის სპორტსმენები — 3:2.

ქალაქის სტადიონზე ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პედაგოგიური ინსტიტუტისა და კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძის ფეხბურთელები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

დოსააფის ტირში გამართულ მცირეკალიბრიანი შაშხანის მსროლელთა გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა. II ადგილი ხვდა მომინანქრებული სადენის ქარხნის ნაკრებს.

ნორჩი ველოსიპედისტები ასპარეზობდნენ 50 მეტრზე რბოლაში. გაიმარჯვეს № 7 საბავშვო ბაღის წარმომადგენლებმა სვეტლანა ხარებოვამ და ვადიმ ბითიევმა.

**მ. მელქოევი.**

(ჩვენი კორ.).

## საწარმოო ტანვარჯიშის მადლი

**ტარბა** ხანია თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში პოპულარობით სარგებლობს მშრომელთა გაჯანსაღების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი საშუალება, როგორიც საწარმოო ტანვარჯიშია. ამ საწარმოში მას თითქმის ყველა მშრომელი მისდევს. ფაბრიკაში მასობრივ-გამაჯანსაღებელმა მუშაობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა მას შემდეგ, რაც ფიზკულტურასა და სპორტზე ზრუნვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში უფრო ნათლად აისახა. ფაბრიკა „გაზაფხულის“ ფიზკულტურული კოლექტივის სახელით რეგულარულად მართავს შიდასაკოლექტივო ტურნირებს.

• • •

სურათზე: საწარმოო ტანვარჯიშის მომენტი ფაბრიკის ერთ-ერთ საამქროში.

მ. ზარგარიანის ფოტო.



# ჟამი ფიქრისა და განსჯისა

## 1. პროგნოზები და სინამდვილე

მაშ ასე, ისტორიის კუთვნილება გახდა კიდევ ერთი დიდი სპორტული დღესასწაული — მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ერთგვარი უვერტიურა იქნება.

უზბეკეთის დედაქალაქი დაემშვიდობა ბავშვთა სპორტის თვალწარმტაცი ზეიმის მონაწილეებს; განაწილდა ყველა მედალი, ქულა და ადგილი, გამოვლინდნენ მოწინავენი და ჩამორჩენილები და აი, დადგა ჟამი ფიქრისა და განსჯისა.

რა გვიჩვენა ტაშკენტის სტარტებმა? ვინ რა მიიღო ორი წლის მანძილზე გაწეული შრომა-მეცადინეობის საზღაურად? ვინ გამოიჩინა თავი და ვის მოეცარა ხელი? რა იყო სპორტის მთელ რიგ სახეობებში წარუმატებელი გამოსვლის მიზეზები?

ამ და სხვა საკითხებზე, უეჭველია, მწვრთნელები და სპეციალისტები იმსჯელებენ და სათანადო დასკვნებსაც გააკეთებენ. ამდენად, სპარტაკიადისადმი მიძღვნილ ამ წერილს არა აქვს შეჯიბრების შედეგების მთლიანი, გლობალური მასშტაბით პროფესიული გარჩევა-ანალიზის პრეტენზია. იგი, როგორც იტყვიან, ცხელ გულზეა დაწერილი და მრავალი შთაბეჭდილებიდან იმ მომენტებსა და პერიპეტიებს მოიცავს, რომლებიც ყველაზე საგულისხმოდ გვეჩვენა.

* * *

**მრავლისმეტყველი** ლოზუნგია: „სპარტაკიადა დამთავრდა — სპარტაკიადა გრძელდება". ამ მოძრაობას, სასპარტაკიადო მოძრაობას, დიახაც არა აქვს დასასრული, როგორც თვით სპორტის აღმასვლა-განვითარებას. ცხოვრებაში ყველაფერი გაწონასწორებულია. გაწონასწორებული და კანონზომიერების მკაცრ ჩარჩოში მოქცეული. არ შეიძლება კეთილმა წამოწყებამ, დიადმა და პროგრესულმა საქმემ, მიუხედავად ათასი წინააღმდეგობისა, მერმისისკენ გზა არ გაიკვლიოს და მტკიცედ არ დამკვიდრდეს. ეს ცხოვრების კანონია, დიალექტიკის კანონიცაა. ამ კანონის თანახმად გაჩნდა მოსწავლეთა სპარტაკიადის მარცვალი, ამ კანონის ძალითვე აღმოცენდა და იქცა იმ დიდ ხედ, რომლის ნაყოფს გემოსა და სინოყივრეს ვერ დაუწუნებ.

მოსწავლეთა სპარტაკიადას შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს — სამ ათეულ წელიწადსაც არ ითვლის. ჩვენს ქვეყანაში სასპარტაკიადო მოძრაობა კი უფრო ადრე, 1924 წელს დაიწყო, როცა მშრომელთა ფიზკულტურული ორგანიზაცია „სპარტაკის" თაოსნობით პეტროგრადში პირველად მოეწყო შეჯიბრება ერთდროულად სპორტის რამდენიმე სახეობაში. სწორედ მაშინ გაჩნდა სიტყვა „სპარტაკიადა". გაჩნდა და ყველაზე ლამაზ, ყველაზე შთამბეჭდავ სიტყვად იქცა საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ისტორიაში. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები ამ ისტორიის ნათელი ფურცლებია. ერთი ასეთი ფურცელი ამ ათიოდე დღის უკან შევსო...

6 სექტემბერი. ამ დღეს ორი წელიწადი ელოდა საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქი. ორი წლის წინათ აირჩიეს სტუმართმოყვარე ტაშკენტი მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის მასპინძლად. აირჩიეს და ისიც ემზადებოდა სიჭაბუკის ლამაზი დღესასწაულისთვის. ემზადებოდა საბჭოთა ქვეყნის სპორტული ახალგაზრდობაც.

და აი, ეს დღეც დადგა — 6 სექტემბერი. მშვენიერი სანახავი იყო ტაშკენტი: სპარტაკიადის ემბლემით, ლოზუნგებითა და პლაკატებით მორთული ქუჩები, სკვერები, ბაღები, განახლებულ-გალამაზებული სპორტული მოედნები და დარბაზები, სტადიონები და საცურაო აუზები. მცხუნვარე მზით, თაიგულებითა და კეთილი ღიმილით ეგებებოდნენ მასპინძლები შეჯიბრების მონაწილეებს, მწვრთნელებს, სპეციალისტებს, ოფიციალურ პირებს, ჟურნალისტებს. სპარტაკიადის დღეებში 6 ათასზე მეტი ნორჩი სპორტსმენი ეწვია ტაშკენტს. სოლიდური ციფრია, თუმცა გოგონებისა და ბიჭების ეს დიდი არმია უმნიშვნელო ნაწილია იმ 30 მილიონი მოსწავლისა, XV სპარტაკიადის სტარტებზე რომ გამოვიდნენ. ამიტომ ვუწოდებთ ამ კომპლექსურ ღონისძიებას გრანდიოზულსა და მასობრივს, ამიტომ ითვლება იგი მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. „მედლები და პრიზები უძლიერესებს, მტკიცე ჯანმრთელობა — ყველას!" — ესეც სპარტაკიადის ლოზუნგია. ფინალურ ასპარეზობამდე განვლილი ეტაპები... 30 მილიონი მოზარდი. ეს უკვე ტრადიციაა, საჭირო და სასარგებლო ტრადიცია.

ნორჩ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რამდენი პირველობა, ტურნირი, ჩემპიონატი თუ მემორიალი ტარდება ჩვენს ქვეყანაში? ბევრი, ძალიან ბევრი, მაგრამ მრავალფეროვნებით და მასშტაბურობით მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებს არაფერი შეედრება. ესაა ჩვენი სპორტის ჯეჯილის, ხვალინდელი დღის სიმწიფის დათვალიერება, მასობრივი ფიზკულტურისა და ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის წლების მანძილზე გაწეული შრომისა და გარჯის უტყუარი საზომი. მაგრამ სპარტაკიადა პირველ რიგში მაინც სპორტული შეჯიბრებაა, ლამაზი, მიმზიდველი სანახაობა, რომლის დროსაც ემხობა რეკორდები და მიღწევები, ჯამობრწყინდება ახალი ტალანტები, ახალი სახელები, ჩვეულებრივ, სამამულო სპორტის იმედსა და მომავალს რომ უწოდებენ. ტალანტები ტაშკენტშიც მრავლად გამოვლინდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ბევრ მათგანს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოუწევს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა.

წლევანდელი სპარტაკიადა სხვა თვალსაზრისითაც იყო გამორჩეული და მნიშვნელოვანი — ტაშკენტში მოპოვებული ქულები საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ყულაბაში შედის. ამ სიახლემ ორმაგი პასუხისმგებლობა დააკისრა მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ დელეგაციებს. უფრო განმტკიცდა ბავშვთა და მოზრდილთა სპორტის შემაერთებელი ჯაჭვი. ალბათ ამიტომაც არ აკლდა პაექრობას სიმწვავე და დაძაბულობა — ყოველი მეტრის, კილოგრამისა და წამისთვის, თითოეული ქულისა და მედლისთვის ფიცხელი და უშეღავათო ბრძოლა იყო გაჩაღებული.



## სპარტაკიადა დამთავრდა — სპარტაკიადა გრძელდება



სპორტის 21 სახეობა. 21 განსხვავებული ხასიათი და სურათი. ძნელია ამ მიმზიდველი სანახაობის ერთ მთლიანობაში აღქმა. მაგრამ არ შეიძლება სპარტაკიადის მრავალფეროვანი კალეიდოსკოპიდან დიდხანს არ შემორჩეს მეხსიერებას ყველაზე საინტერესო ფრაგმენტები, ამაღელვებელი წუთები და... ყველაზე მუქი ფერები. ასეთებიც იყო. მათზე უფრო ქვემოთ გესაუბრებით. ახლა კი, ასე ვთქვათ, ძირითადი ხასიათის შტრიხები გამოვყოთ. სპარტაკიადის მთავარი ტაბლო. ჩვეულებრივ, აქ ყველაფერი კანონზომიერების ნორმებშია განაწილებულ-გაწონასწორებული. ფავორიტებმა პროგნოზები რეალობად აქციეს — რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები საერთო გუნდურ ჩათვლაში, რაც ახლა უკვე ოფიციალურად წარმოებდა (სპორტის ცალკეულ სახეობებში დაკავებული ადგილების ჯამის მიხედვით), პირველ ადგილზე გავიდნენ. მათ ანგარიშზეა ოქროს 58, ვერცხლის 45 და ბრინჯაოს 58 მედალი. რსფსრ-ს წარმომადგენლები უძლიერესები იყვნენ თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში და ფრენბურთში.

ფავორიტებს მძაფრი კონკურენცია გაუწია უკრაინის სპორტულმა დელეგაციამ. სპარტაკიადის ფინიშამდე გაურკვეველი იყო, ვინ აღმოჩნდებოდა საბოლოო ცხრილის სათავეში. უკრაინელმა მოსწავლეებმა [illegible], კალათბურთელთა, წყალბურთელთა, ხელბურთელთა, მძლეოსანთა, მოცურავეთა, ტყვიის მსროლელთა და აკრობატთა შეჯიბრება, მოიპოვეს ოქროს 66, ვერცხლის 62, ბრინჯაოს 24 მედალი და გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ.

მასპინძლის „ტრადიციული" უპირატესობა, შეიძლება ითქვას, მთლიანად გამოიყენეს უზბეკეთის სპორტსმენებმა. ოქროს 12, ვერცხლის 18 და ბრინჯაოს 19 მედალი — ასეთია მათი ნადავლი. განსაკუთრებით კი მოკრივეებმა ისახელეს თავი — ოქროს 4 მედალი და გუნდური პირველობა დაისაკუთრეს. მასპინძლები თანაბრად გამოვიდნენ სპორტის სხვა სახეობებშიც და საბოლოოდ III ადგილზე დამკვიდრდნენ. ეს, რა თქმა უნდა, უზბეკეთის დელეგაციის დიდი წარმატებაა. ამას საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრის მოადგილემ ფ. შტიკალომაც გაუსვა ხაზი, როცა სიტყვით გამოვიდა სპარტაკიადის საზეიმო დახურვის ცერემონიალზე. მანვე აღნიშნა ჩვენი ქვეყნის სასკოლო სპორტის აღმავლობა, მოსწავლეთა ოსტატობისა და ფიზიკური მომზადების მაღალი დონე და ის [illegible]რნახული კონკურენცია, რაც აღიარებულ ფავორიტებს ტრადიციულმა აუტსაიდერებმა გაუწიეს. ამიტომ კანონზომიერია, რომ ყველა კოლექტივს ჰყავს სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები.

* * *

ჩემპიონები და პრიზიორები საქართველოს სპორტულ დელეგაციასაც მრავალი ჰყავს. 37 მედალი მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა ტაშკენტის სარბიელზე. წინა სპარტაკიადაზე სამი ჩემპიონი გვყავდა, ახლა — 12. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ძიუდოისტთა ნაკრები. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა VI ადგილი დაიკავეს და უკან ჩამოიტოვეს ლენინგრადის, ყაზახეთისა და ლატვიის ძლიერი კოლექტივები.

ერთი სიტყვით, წინსვლა თვალსაჩინოა. სპარტაკიადათაშორისო ორი წელიწადი, თამამად შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდი იყო. საქართველოს განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ერთობლივმა მცდელობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მწვრთნელებმა, სპეციალისტებმა საქმით უპასუხეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებებს.

**ე. ბერიშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
ტაშკენტი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

* * *

**სურათებზე: სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტები. ტაშკენტის „ფახთაქორის" სტადიონის სარბენ ბილიკებზე მოკავშირე რესპუბლიკების სპორტული დელეგაციები მოაბიჯებენ; საჩვენებელი პროგრამით გამოდიან ტაშკენტელი მოსწავლეები.**

ა. აზიზოვის ფოტოები.

---

# ფიზკულტურა და სპორტი — მშრომელთა სამსახურში

**ჩოხატაურის** რაიონის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურისა თუ სხვა დარგის მშრომელების მხარდამხარ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები. ეს წარმატებები პირველ რიგში განპირობებულია რაიონის პარტიული, კომკავშირული, სახელმწიფო, სამეურნეო ხელმძღვანელობის, ადგილებზე პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სათანადო ყურადღებით ფიზკულტურისა და სპორტისადმი.

რაიონში მომზადებულია სხვადასხვა თანრიგის 700-ზე მეტი სპორტსმენი, 850 მშდ-ს ნიშნოსანი, 200-ზე მეტი საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი, მსაჯები და ინსტრუქტორები.

რაიონის ლელობურთელებმა წელს ოცდამეშვიდეჯერ მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო სახელი, საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში წარმატებით გამოდის ფეხბურთელთა გუნდი „ბახმარო", რომელიც ენერგიულად იბრძვის საპრიზო ადგილზე გასასვლელად. კარგად გამოვიდნენ ისინი ანდრო ჟორდანიას სახელობის თასის გათამაშებაშიც „კოლმეურნის" გუნდებს შორის და გათამაშების ფინალში მოხვდნენ; მოსწავლე ფეხბურთელებმა ზონალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო ნახევარფინალში მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

კარგად ისპარეზეს „ტყავის ბურთის" პრიზზე ჩოხატაურის № 1 საშუალო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ზონაში გამარჯვების შემდეგ რესპუბლიკური გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ. მოსწავლე-კალათბურთელებმა, გოგონებმა და ვაჟებმა ზონალურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს, მოჭადრაკეებმა — პირველი.

რაიონში მყარი საფუძველი ჩაეყარა სპორტის ახალ სახეობას — რეგბის. ახალგაზრდა რეგბისტებმა პირველად ისპარეზეს საბჭოთა კავშირის პირველობაზე და მეხუთე ადგილი დაიკავეს, წელს კი საქართველოს პირველობაში ახალგაზრდებს შორის მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

მოზარდთა გუნდმა, რომელიც ლელობურთელთა გუნდის ბაზაზეა შექმნილი, საქართველოს პირველობაზე პირველ წრეში მეოთხე ადგილი აიღო, ხოლო თასის გათამაშებაში ნახევარფინალში გავიდა.

რაიონში სპორტული ბაზების მშენებლობა-კეთილმოწყობის საქმეში თავი გამოიჩინა ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ა. გოგობერიძე), მისმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. აქ აშენდა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დამხმარე შენობა, კაპიტალურად შეკეთდა ფეხბურთის მოედანი.

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს რაიონის ტყვიის მსროლელებმა — დოსაafის რაიონული კომიტეტის (თავმჯდომარე შ. ცინცაძე) ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით დამთავრდა 50-მეტრიანი დახურული სასროლეთის მშენებლობა.

ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მიმდინარეობს სპორტული კომპლექსური მოედნის მშენებლობა, ხოლო იმავე სოფლის საშუალო სკოლაში შენდება ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

რაიონის ფიზკულტურულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, 8-წლიანი და საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა მათივე კოლექტივების სახელით აიღეს ვალდებულებანი ბაზების კეთილმოწყობისა და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის, რაც ძირითადად წარმატებით სრულდება, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. გვჯერა, რომ ახალგაზრდობის უნარიანი საქმიანობით, დაუზარელი შრომით აღებული ვალდებულებანი უსათუოდ შესრულდება.

ჩოხატაურის ახალგაზრდობას უყვარს შრომა, სპორტი, სწავლა და დასვენება. ყველანაირად უნდა ვიზრუნოთ, რათა შევუქმნათ მათ ამისათვის საჭირო პირობები, მასობრივად დავნერგოთ მშრომელი ადამიანების ცხოვრებაში ფიზიკური კულტურა და სპორტი — ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და სიჯანსაღის ესოდენ უებარი საშუალება.

**დ. ბურბენიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „რ. სოვეტ." | 33 | 18 | 12 | 3 | 50—22 | 48 |
| კ რ. | 33 | 16 | 14 | 3 | 55—29 | 46 |
| „კარპატი" | 32 | 17 | 9 | 6 | 46—29 | 43 |
| „დინ." მნ. | 33 | 16 | 11 | 6 | 46—27 | 43 |
| „თერგი" | 34 | 15 | 7 | 12 | 50—46 | 37 |
| „კუბანი" | 33 | 14 | 9 | 10 | 45—36 | 37 |
| „ტავრია" | 33 | 12 | 11 | 10 | 45—35 | 35 |
| „ნისტრუ" | 33 | 13 | 7 | 13 | 40—37 | 33 |
| „ქალგირისი" | 32 | 8 | 16 | 8 | 31—33 | 32 |
| „კუზბასი" | 33 | 12 | 7 | 14 | 36—44 | 31 |
| „შინიკი" | 31 | 12 | 7 | 12 | 34—32 | 31 |
| „მეტალ." | 33 | 8 | 14 | 11 | 32—40 | 30 |
| კ ოდ. | 33 | 10 | 9 | 14 | 35—46 | 29 |
| „ტორპედო" | 33 | 10 | 9 | 14 | 32—38 | 29 |
| „ურალმაში" | 33 | 9 | 11 | 13 | 28—39 | 29 |
| „პამირი" | 34 | 8 | 13 | 13 | 39—37 | 29 |
| „სპარ." ი.-ფ. | 33 | 11 | 5 | 17 | 37—52 | 27 |
| „დინამო" ლ. | 33 | 7 | 11 | 15 | 43—56 | 25 |
| „სპარ." ორ. | 34 | 8 | 8 | 18 | 26—45 | 24 |
| „კოლხოზ." | 34 | 7 | 8 | 19 | 26—53 | 22 |

## მეორე ლიგა

### გათამაშების ცხრილი

IV ზონა

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა" | 39 | 22 | 9 | 8 | 63—32 | 53 |
| „გურია" | 39 | 19 | 10 | 10 | 68—42 | 48 |
| „შირაკი" | 39 | 18 | 11 | 10 | 66—40 | 47 |
| „ავტომობ." | 39 | 19 | 6 | 14 | 56—52 | 44 |
| „ტორპედო" | 39 | 17 | 10 | 12 | 56—34 | 44 |
| „რუბინი" | 39 | 17 | 10 | 12 | 53—41 | 44 |
| „კოტაიკი" | 39 | 19 | 5 | 15 | 51—49 | 43 |
| „დინამო" ზ. | 39 | 16 | 11 | 12 | 52—39 | 43 |
| „ზენიტი" | 39 | 13 | 16 | 10 | 52—43 | 42 |
| „დრუჟბა" | 39 | 18 | 5 | 16 | 49—42 | 41 |
| „ტურბინა" | 39 | 18 | 5 | 16 | 45—53 | 41 |
| „გაზოვიკი" | 39 | 16 | 8 | 15 | 54—46 | 40 |
| „ყარაბახი" | 39 | 15 | 9 | 15 | 43—40 | 39 |
| „დილა" | 39 | 13 | 13 | 13 | 45—44 | 39 |
| „ლოკომოტ." | 39 | 15 | 8 | 16 | 56—67 | 38 |
| „დინამო" კრ. | 39 | 15 | 8 | 16 | 55—48 | 38 |
| „გასტელო" | 39 | 15 | 8 | 16 | 44—48 | 38 |
| „დინამო" ბ. | 39 | 13 | 11 | 15 | 43—41 | 37 |
| „დინამო" ს. | 39 | 14 | 8 | 17 | 52—58 | 36 |
| „ურალეცი" | 39 | 14 | 7 | 18 | 49—56 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. | 39 | 8 | 14 | 17 | 28—43 | 30 |
| „პროგრესი" | 39 | 13 | 3 | 23 | 39—67 | 29 |
| „ხაზარი" | 39 | 10 | 6 | 23 | 31—66 | 26 |
| „არაზი" | 39 | 7 | 5 | 27 | 34—94 | 19 |

ლენქორანის „ხაზარისა" და უფის „გასტელოს" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

## პრეტენზიები ბევრია

**როგორც** უკვე იყო გამოქვეყნებული, 1979-80 წლებიდან დაწყებული უეფა-ს თასი გათამაშდება ახალი ფორმულით, რომელსაც საფუძვლად დაედება ყოველი ქვეყნის საკლუბო გუნდების შედეგები საერთაშორისო სარბიელზე მოყოლებული 1973 წლიდან.

უეფა-ს სპეციალურმა კომისიამ შესაბამისი მუშაობა გასწია და თავისი რეკომენდაციები გამოიტანა სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციათა წარმომადგენლობაზე ამ ტურნირში.

გამოირკვა, რომ უმაღლესი მაჩვენებლები აქვთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ჰოლანდიას და ინგლისს, რომლებსაც უეფა-ს თასზე დაეთმობათ 4-4 ადგილი. სსრ კავშირს, ბელგიას, ესპანეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას წილად ხვდათ 3-3 ადგილი, 12 ქვეყნის ეროვნულ საფეხბურთო ფედერაციებს — 2-2 ადგილი, ხოლო დანარჩენ 13 ვაკანსიაზე პრეტენზიები საკმარისზე მეტია.



## „ყველაზე საუკეთესო შთაბეჭდილებები"

**ტალინი.** „მე დამრჩა ყველაზე საუკეთესო შთაბეჭდილებები", — საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა მორის ერცოგმა (საფრანგეთი) ტალინში XXII ოლიმპიური თამაშების აფროსანთა რეგატისთვის მშენებარე ობიექტების დათვალიერების შემდეგ.

მორის ერცოგი ესტუმრა ოლიმპიური სოფლის მშენებლობას, ტალინის ყურის ნაპირზე განლაგებულ სააფროსნო სპორტის ცენტრსა და სხვა ოლიმპიურ მშენებლობებს.

— სასიამოვნოა აღვნიშნო, — თქვა ფრანგმა სტუმარმა, — რომ ტალინელები, სპორტსმენებისთვის მაქსიმალური პირობების შესაქმნელად, დიდ ყურადღებას უთმობენ დამატებითი ნაგებობების — კერძოდ, ახალი ავტომაგისტრალის, სავაჭრო ცენტრისა და სატელეფონო სადგურის აშენებას.

ესტონეთის დედაქალაქს უკვე აქვს დიდი შეჯიბრებების ჩატარების გამოცდილება. წლეულს აგვისტოში აქ წარმატებით ჩატარდა XXX აფროსანთა საერთაშორისო რეგატა, რომელშიც 24 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შედარებით იმ ქალაქებთან (ნეაპოლი, კილი, კინგსტონი), სადაც მოეწყო წინა ოლიმპიადების აფროსანთა რეგატები, ტალინი უფრო წარმატებით ემზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ქვეყანაში მომავალ ოლიმპიადას დიდმნიშვნელოვან მოვლენად თვლიან. ამ მიმართებით დიდ მუშაობას ასრულებენ სხვადასხვა ორგანიზაციები. ვფიქრობ, რომ 1980 წლის შემდეგ მოსკოვი სპორტული ნაგებობების მხრივ ყველაზე მდიდარი ქალაქი იქნება.

— დასავლეთში ვერავინ ვერ უარჰყოფს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი ატარებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დინამიურ პოლიტიკას, რისი შედეგიცაა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები, — ხაზგასმით აღნიშნა მორის ერცოგმა. — თქვენს ქვეყანაში მოგზაურობისას ვნახე მრავალრიცხოვანი სპორტული ნაგებობა, რომლითაც სარგებლობს ყველა მსურველი. ამაში დავრწმუნდი ტალინშიც.

— სასიამოვნოა, რომ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მწვრთნელებისა და ფიზკულტურისა და სპორტის სხვა სპეციალისტების მომზადებას. მაგალითად, როგორც გავიგე, ესტონეთის უნივერსიტეტში არის სპეციალური ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს ექიმებს სპორტული განხრით.

მორის ერცოგმა თქვა, რომ იგი განსაკუთრებით გააოცა სსრ კავშირში სპორტის მასობრიობამ. „თქვენს ქვეყანაში, — თქვა მან, — სპორტს მისდევენ ყველგან — სკოლებში, ინსტიტუტებში, ფაბრიკა-ქარხნებში. განსაკუთრებით საინტერესოდ მიმდინარეობს მუშაობა სპორტული მშდ კომპლექსის ჩაბარებაში. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობენ ყველა ასაკის ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით აბარებენ ნორმატივებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში".

დასასრულ, მორის ერცოგმა წარმატება უსურვა ოლიმპიადა-80-ს და თქვა, რომ იგი დიდი სიამოვნებით ესტუმრება საბჭოთა კავშირს 1980 წლის ზაფხულში. (საქდესი).

## მიზანი — ოლიმპიადა-80

**ბაქო.** „ჩვენი სპორტის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი მძლეოსნური რაზმი იასპარეზებს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში", — საქდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა კონგოს სახალხო რესპუბლიკის მძლეოსანთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ფ. ნგაუტიმ.

თავის აღსაზრდელებთან ერთად ნგაუტი იმყოფებოდა საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქში, სადაც აფრიკელი ათლეტები 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალში მონაწილეობდნენ.

კონგოლეზიის სპორტსმენები პირველად არ გამოდიან ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადა განსაკუთრებულია, ვინაიდან იგი ტარდება მშვიდობისა და სოციალური პროგრესისთვის, მეგობრობისა და ხალხთა თანამშრომლობისთვის, სპორტის კეთილშობილური იდეალების გამარჯვებისთვის ბრძოლის ავანგარდში მდგარ ქვეყანაში.

ნგაუტიმ მაღალი შეფასება მისცა კონგოში საბჭოთა სპეციალისტების მოღვაწეობას, რომლებიც წლების განმავლობაში ეხმარებიან ეროვნული მძლეოსნობისა და სპორტის სხვა სახეობების განვითარებას. საბჭოთა მეგობრების მდიდარი გამოცდილება, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — განსაკუთრებულად გვჭირდება ახლა, დიდი სპორტული მოვლენების პერიოდში.

ნგაუტმა მოსკოვის ოლიმპიადისთვის კონგოელი მძლეოსნების მზადების მიმდინარეობაში ორი მნიშვნელოვანი ეტაპი გამოჰყო: აფრიკის თამაშები და 1979 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა.

ვიმედოვნებთ, წარმატებით ვიასპარეზებთ კონტინენტის თამაშებზე, — აღნიშნა კონგოელმა მწვრთნელმა, — და კვლავ დავამტკიცებთ, რომ საბჭოთა მძლეოსნური სკოლის ღირსეული მიმდევრები ვართ. და, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველით მომავალი წლის ზაფხულს, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას, რომელშიც მონაწილეობა არა მარტო ოლიმპიადა-80-ის წინ ძალების კარგი შემოწმება იქნება, არამედ კონგოს სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების საშუალება. (საქდესი).



## „მონაწილეობა საპატიო საქმეა"

**ბაქო.** „თურქეთისთვის არატრადიციულ სპორტის სახეობაში — მძლეოსნობაშიც კი ჩვენი ქვეყანა საკმაოდ სრულად იქნება წარმოდგენილი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში", — საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საშუალო დისტანციებზე რბენაში თურქეთის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ტ. სერმეტმა.

სერმეტი პირველად იყო სსრ კავშირში. ბაქოში 26 ბაქოელი კომისრის ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალში მან გაიმარჯვა 800 და 1500-მეტრიან დისტანციებზე რბენაში.

— ბედნიერი ვიქნები თუ მოსკოვშიც შევძლებ ასეთი წარმატების გამეორებას — თქვა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტმა თურქმა მორბენალმა. — მაგრამ თუ ოლიმპიადა-80 ჯილდოს ვერ მომიტანს, მე დიდ პატივად ჩავთვლი პლანეტის ახალგაზრდობის ამ დიდ სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობას.

ანკარის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 22 წლის სერმეტმა, რომელიც მწვრთნელობას აპირებს, დიდი კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირში თავისი პირველი ვიზიტის გამო. (საქდესი).

## მთავარი სტარტი მოსკოვში

**ლონდონი.** მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატმა გვიჩვენა, თუ რა ძნელი იქნება 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მედლების მოპოვება, — წერს გაზეთი „ტაიმსი". — სსრ კავშირის სპორტსმენთა (რომლებმაც პრაღაში მოიპოვეს 13 ოქროს, 12 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი) გამოსვლამ ნათელჰყო ოლიმპიადა-80-ის ორგანიზატორი-ქვეყნის სერიოზული განზრახვა ორი წლის შემდეგ მოიმკას „ოქროს" უხვი მოსავალი.

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ბრიტანეთში ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი ქალთა გუნდი ვერაფრით შეედრება სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებებს, მაგრამ ჩემპიონატის მონაწილე დანარჩენი 27 ქვეყნიდან ჯილდოების რაოდენობის მიხედვით მხოლოდ ერთს — რუმინეთს შეუძლია მეტოქეობა გაგვიწიოს.

ნიჭიერმა შუბის მტყორცნელმა ტესა სანდერსონმა, — წერს „ტაიმსი", — შეძლო II ადგილზე გასვლა. ეს უთუოდ დიდი მიღწევაა. ახლა მან უნდა გადაწყვიტოს, რა გააკეთოს მოსკოვის ოლიმპიადამდე, რათა მოუგოს რუთ ფუქსს (გდრ), რომელმაც პრაღაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

— მე მას ვუგებდი წინათ და ვიცი, კვლავ როგორ მიაღწიოამას, — თქვა 22 წლის ვულვერჰემპტონელმა მდივანმა სანდერსონმა, რომელსაც ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის რეკორდი — მძლეოსნობის ისტორიაში მესამე შედეგი — მაგრამ ხშირად უნდა გამოვიდე მაღალი რანგის შეჯიბრებებში. ყველა ლაპარაკობს, რომ მე ბევრს ვაკეთებ დიდ ბრიტანეთში ქალთა მძლეოსნობის პროგრესისთვის, მაგრამ საქმით არავინ მეხმარება. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ერთდროულად მდივნად მუშაობასა და ოლიმპიადა-80-ისთვის ინტენსიურ ვარჯიშს. ხანდახან დატვირთვა აუტანელი მეჩვენება.

სანდერსონი, — წერს „ტაიმსი", — ფინანსურ დახმარებას ბიზნესმენებისაგან ღებულობს. მას არაერთგზის მიმართეს ამერიკულმა კოლეჯებმა, რომლებიც სტიპენდიას პირდებიან თუ იგი აშშ-ში გადავა. ტესა ჯერჯერობით ყურადღებით სწავლობს ამ წინადადებებს. (საქდესი).



## „გადასასვლელი"...

**ისეთ** მასობრივ საფეხბურთო შეჯიბრებებს, როგორებიცაა „ტყავის ბურთი", „იმედის თასი", საკავშირო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, დაემატა კიდევ ერთი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა საფეხბურთო სკოლადამთავრებულთათვის ერთგვარი გამოცდა იქნება. ამ ახალ შეჯიბრებას ეწოდება „გადასასვლელი" და ტარდება ყოველკვირეული გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეის" ეგიდით.

სპორტსმენები ჯერჯერობით (ასაკი — 20 წლამდე) გამოდიან ქალაქების პირველობებზე. ნოემბრის დასასრულს კი ითამაშებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

— ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე, მათ გაიმარჯვეს იუნიორთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში და ჭაბუკთა უეფა-ს ტურნირში, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვლ. ივანოვმა. — მიმაჩნია, რომ ჩვენს მოზარდთა ფეხბურთს უწინდებურად არ ყოფნის კვალიფიციური მწვრთნელები, რაც ამასწინანდელმა შემოწმებამაც ცხადყო. საატესტაციო კომისიამ დასკვნა გამოიტანა, რომ ჭაბუკებთან მომუშავე სპეციალისტთაგან 53 მწვრთნელი არ შეეფერება თავის თანამდებობას, სრულყოფილი არაა სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, იქ ხშირად ბრმად გადააქვთ ოსტატთა გუნდების მუშაობის მეთოდები, არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკს და ფიზიკურ მონაცემებს. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლებიდან ყველა ლიგის ოსტატთა გუნდებში მცირე რაოდენობით ხვდებიან პერსპექტიული ბავშვები და მათი მომზადების დონეც არაა მაღალი. ახლა ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, რომ საწვრთნელი მუშაობა ბავშვებთან გაუმჯობესდეს, მომავალ წელს განზრახულია მოხდეს ბავშვებთან მომუშავეების მიწვევა მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში, შეგვაქვს კორექტივები სასწავლო პროგრამებში, ბავშვთა გუნდებთან მუშაობის სტიმულირებისთვის დაწესდება წახალისების ახალი სისტემა. მაგალითად, ბავშვთა შორის მომუშავე ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, ხარკოველ ნ. კოლცოვს, რომელმაც 4 ფეხბურთელი მოამზადა სსრ კავშირის ნაკრებისთვის, მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

# ჩვენი სტუმარია ლიუბლიანის „ბრესტი“

## კალათბურთი

**ხატოვნად** რომ ვთქვათ, როგორც იქნა ყინული დაიძრა და თბილისში კვლავ დაინიშნა საინტერესო საერთაშორისო შეხვედრა კალათბურთში. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა ი. გაგარინის II მემორიალი 1972 წლის 25-30 ივლისს და სოციალისტური ქვეყნების სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჩემპიონატი 1973 წლის 23-28 ოქტომბერს.

12 და 14 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ მეტოქე იქნება იუგოსლავიის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი ლიუბლიანის „ბრესტი“. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი მეტოქე იუგოსლავიური გუნდია, უკვე მრავლისმეტყველია.

ლიუბლიანის „ბრესტი“ იუგოსლავიის ერთ-ერთი პოპულარული კლუბია, რასაც კარგად ადასტურებს წლების განმავლობაში „ბრესტის“ წარმატებები იუგოსლავიის ჩემპიონატში. „ბრესტი“ მატჩებს მართავს ლიუბლიანის უდიდეს სპორტულ დარბაზში, „აია ტივოლის“ სპორტის სასახლეში, სადაც მოეწყო 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში და 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში.

როგორ იასპარეზა „ბრესტმა“ იუგოსლავიის შარშანდელ ჩემპიონატში? (შევახსენებთ, რომ იუგოსლავიის ახალი ჩემპიონატი 18 ნოემბერს იწყება). თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბრესტმა“ ღირსეული კონკურენცია გაუწია იუგოსლავიური კალათბურთის ტრიუმვირატს „ბოსნას“, „პარტიზანს“ და „იუგოპლასტიკას“ და ჩემპიონატის მხოლოდ უკანასკნელ მატჩებში დათმო საპრიზო ადგილი. საბოლოოდ „ბრესტი“ მეოთხე გუნდი გახდა და მთელი 8 ქულით გაუსწრო V ადგილზე გასულ „ჩიბონას“. „ბრესტს“ არ აკლია პირველი კლასის მოთამაშეები. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს კრეშემირ ჩოსიჩი. სამწუხაროდ, ჩოსიჩი თბილისში ვერ ჩამოვა, ვინაიდან იგი ამ დღეებში მონაწილეობს მსოფლიოს VIII ჩემპიონატში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბრესტის“ მთავარი დამრტყმელი ძალაა იოჟე პაპიჩი (№ 4), სლობოდან სუბოტიჩი (№ 9), ვინკო იელოვაცი (№ 10) და, რასაკვირველია, კრეშემირ ჩოსიჩი (№ 11). თითოეულ მათგანს სხვადასხვა დროს დაუცავს ქვეყნის ნაკრების ღირსება. ჩოსიჩის შემდეგ ყველაზე კოლორიტული ფიგურა უდავოდ ცენტრალური თავდამსხმელი ვინკო იელოვაცია (206 სმ). იელოვაცი თითქმის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თამაშობდა იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში. იელოვაცი არის მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მეხიკოსა და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. იელოვაცი გამოირჩევა საიმედო თამაშით დაცვაში და შედეგიანი შეტევით თავდასხმაში. იგი თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იელოვაცისა და დერიუგინის დუელი მატჩის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი იქნება.

წლევანდელ სეზონში საკმაოდ მოუმატა თამაშს „ბრესტის“ თავდამსხმელმა სლობოდან სუბოტიჩმა. იგი 22 წლისაა, მისი სიმაღლეა 201 სანტიმეტრი. შემთხვევითი არ არის, რომ იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელობა სუბოტიჩზე დიდ იმედებს ამყარებს. სუბოტიჩი შესანიშნავი სნაიპერია. წლევანდელ სეზონში მან „ბრესტს“ 531 ქულა შესძინა და სნაიპერთა შორის XII ადგილი მოიპოვა. სუბოტიჩი არის ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონი და მონაწილეობდა 1976 წლის აპრილში აშშ-ში გამართულ ოთხთა ტურნირში.

საკმაოდ სოლიდურ თამაშს უჩვენებს ევროპის ჩემპიონი იოჟე პაპიჩი. იგი უკანა ხაზიდან თამაშობს და გამოირჩევა საკმაოდ ზუსტი ტყორცნებით. პაპიჩი ფლობს ბურთის ტარებისა და პასის მაღალ კულტურას. იელოვაცის, სუბოტიჩისა და პაპიჩის შედეგიანი თამაშის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ [illegible] ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში 27 მარტს „ბრესტი“ [illegible] „დალვინი“ და დაამარცხა ანგარიშით 123:96. მასპინძელთაგან შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინა იელოვაცმა (32 ქულა), სუბოტიჩმა (28) და პაპიჩმა (26). ჩოსიჩი ამ მატჩში არ მონაწილეობდა. როგორც ხედავთ, „ბრესტისათვის“ ქულების უდიდესი რაოდენობა სწორედ ზემოდასახელებულ სამეულს მოაქვს. არ შეიძლება არ აღინიშნოს გვარლიანჩიჩის საიმედო თამაშიც. აი კიდევ ვინ იცავს „ბრესტის“ ღირსებას: ვიდმარი, ივესენსეკი, ვოლაი, ბასინი და სხვები. გუნდის მწვრთნელია ტრინაიჩი.

ერთი სიტყვით, თბილისელი კალათბურთის მოყვარულები უდავოდ საინტერესო მატჩის მოწმენი გახდებიან, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი საკალათბურთო სეზონი ჯერ არც ერთ გუნდს არ დაუწყია.

**მ. კალანდაძე.**

# ბორგი — ჩოგბურთის სუპერვარსკვლავი

**ბიორნ** ბორგი. ამ სახელთან არის დაკავშირებული, როგორც ამას ჩოგბურთის სპეციალისტები და თაყვანისმცემლები მიიჩნევენ, ახალი ერა სპორტის ამ სანახაობრივად ლამაზ, ტემპიან სახეობაში.

პირველად ჩოგბურთის სამყარომ ბორგი 15 წლის ასაკში იხილა. ეს იყო 1972 წელს. და სწორედ მას შემდეგ დაიწყო შვედის ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს კორტებზე. ამ წლიდან მოყოლებული იგი იმარჯვებს შვეციის ნაკრებთან ერთად „სამეფო თასის“ გათამაშებაში, იტალიის და საფრანგეთის ჩემპიონატებში (1974 წ), დევისის თასზე (1975 წ), უიმბლდონზე (1976 წ), შემდეგ, კვლავ ზედიზედ ორჯერ 1977-1978 წლებში უიმბლდონის, იტალიის და საფრანგეთის პირველობებში. აღსანიშნავია, რომ 1977 წელს უიმბლდონის ტურნირზე ბორგს არც ერთი პარტია არ წაუგია. ამ შედეგით მან გაიმეორა ბაჯის (1938 წ), ტრაბერტის (1955 წ) და მაკ კინლის (1963 წ), მიღწევა. ორი ტურნირი, რომელიც ბორგს ჯერ არ მოუგია, არის ავსტრალიის და ფორესტ-ჰილის (აშშ) ჩემპიონატები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბორგის ნათლობა დიდ ჩოგბურთში 15 წლის ასაკში მოხდა. და რა პარადოქსულია, რომ ბორგს სულ სხვა მიზნები ჰქონდა — სურდა ჰოკეისტი გამხდარიყო.

მამამ შვილს ჩოგანი აჩუქა... და შვილმა 14 წლისამ სკოლას მიანება თავი, დედ-მამა კი ასე დაამშვიდა: „სანამ 21 წლის გავხდები, თქვენთვის მშობლებო, თითოეულისთვის საკმაო თანხა მექნება“. შვილმა დანაპირები შეასრულა. ოჯახმა სოდერტალში, სადაც 1956 წელს ბორგი დაიბადა, ტანსაცმლის მაღაზია მიატოვა და მონტე-კარლოში საცხოვრებლად გადავიდა, სადაც ახალი „ბიორნ ბორგის“ — სპორტული მაღაზია გახსნა.

უიმბლდონის 1978 წლის ფინალური მატჩის დროს, ერთ-ერთმა კომპეტენტურმა პირმა განაცხადა: „უკეთესად ჩოგბურთს ვერ ითამაშებ. ტალანტი მსოფლიოში ბევრ ჩოგბურთელს აქვს, მაგრამ ბორგივით თამაში ძნელზე ძნელი შესასწავლია. არის თუ არა 22 წლის ბორგი ყველა დროის უძლიერესი ჩოგბურთელი? მე არ მინახავს ბაჯი, რომელმაც 1937-38 წლებში უიმბლდონზე ყველა ტურნირში გაიმარჯვა, არ მინახავს „ბიგ“ ტილდენი, რომელსაც 1920-26 წლებში დევისის თასის გათამაშებაში არც ერთი პარტია არ წაუგია, მაგრამ მოწმე ვარ ლეივერის წარმატებისა. ჩემი აზრით, ბორგი ყველაზე ძლიერია“.

სპეციალისტების უმრავლესობა, ბორგის ასეთ წარმატებას ოთხ ფაქტორს მიაწერს:

პირველი ის, რომ ბორგს მენაჯერად ჰყავდა ერთ დროს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ბერგელინი, რომელიც მისთვის ყველაფერს აკეთებდა. სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო 15 წლის ბორგის გამოყვანა 1972 წელს დევისის თასის გათამაშებაში, ახალზელანდიელებთან შეხვედრაში. ბერგელინს სჯეროდა, რომ ბორგი დიდი ჩოგბურთელი გახდებოდა. ასეთი მენაჯერი სპორტსმენს ყოველგვარ პირობას უქმნის დაოსტატებისა და თამაშის ტექნიკის დახვეწისათვის.

მეორე ფაქტორი, რომელიც ბორგს გამარჯვებაში ეხმარება, არის კონცენტრაციის, მობილიზაციის ფაქტორი. გარდა ნიუკომბისა, არ არის ისეთი ჩოგბურთელი, რომელიც გადამწყვეტ მომენტში აღუშფოთებლად იგებდეს იმ ქულას, რომელსაც გამარჯვება მოაქვს. ბორგისათვის მაყურებელი და ხმაური არ არსებობს. ბორგის ასეთ დამოკიდებულებას გარემოსთან ბევრი მისი მოწინააღმდეგე წონასწორობიდან გამოჰყავს. ჩოგბურთი რომ ფსიქოლოგიური ჭიდილია, ეს ფაქტია — უტევენ იქ, სადაც მოწინააღმდეგის სუსტ მხარეს ამჩნევენ, ურტყამენ იქით, სადაც ბურთის აღება შეუძლებელია. ბორგს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთხელაც კი არ აღებეჭდება სახეზე რაიმე. ერთადერთი, რასაც იგი მატჩბოლის შემდეგ აკეთებს, მუხლებზე დადგომაა, რაც დაძაბულობას ხსნის.

მესამე, მის მიერ ჩოგბურთში შემოტანილი ფაქტორია გამართული ხელით დარტყმული ტოპ-სპინი. ეს დარტყმები ჩოგბურთის არც ერთ სასწავლო წიგნში არ არის აღნიშნული. ჩამოშვებული ხელებით, წელში მოხრილი ელოდება იგი ბურთს, შემდეგ ელვის სისწრაფით იმართება, თავს ზემოთ სწევს ჩოგანს და უძლიერესი დარტყმით გზავნის ბურთს მოპირდაპირე მხარეს ისე, რომ მოწინააღმდეგე ვერც კი მოდის აზრზე, საით, რომელი მიმართულებით ახტება ბურთი. ოთხი წლის წინათ ეშმა განაცხადა: „თუკი ბორგმა მომავალში ასე გააგრძელა, მას ხელი გაუფუჭდება — ამდენს ვერ აიტანს“. ეშის ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა — ბორგი ყველაფერს იტანს და მის წარმატებას ბოლო არ უჩანს.



მეოთხე, რამაც ყველაზე უფრო გააოცა სპეციალისტები, არის დარტყმის სიძლიერე. დღემდე, როდესაც დარტყმების ძალაზე ლაპარაკობდნენ, მხედველობაში ჰყავდათ ტანერი, ეში, ნიუკომბი. ახლა კი ამ ელიტას ბორგიც შეუერთდა. უიმბლდონზე, ბორგის მოწინააღმდეგე კონორსი საგონებელში იყო ჩავარდნილი. მან ვერაფერი მოუხერხა შვედის დარტყმებს — უმეტეს შემთხვევებში ამერიკელი ბურთს მხოლოდ ეხებოდა, ეს იყო და ეს. ტანერზე ამბობენ, რომ მის მიერ დარტყმული ბურთი საათში 240 კილომეტრს ანვითარებს. ბორგსაც თითქმის ასეთი მაჩვენებელი აქვს.

ერთადერთი „სუსტი“ მხარე ბორგისა არის მარცხენა მხრიდან მფრინავი ბურთის მოგერიება. იშვიათად დგას ბორგი ბადესთან — იმდენად ძლიერია უკანა ხაზის პოზიციებიდან, რომ ეს არ სჭირდება, და თუკი ბადესთან გავიდა, იგი მარცხენა მხრიდან მფრინავ ბურთზე ფიქრობს... ამ მომენტში, იგი ხშირად „განწირულის დარტყმას“ აკეთებს. სწორედ ეს მიაჩნია ზოგიერთ სპეციალისტს ბორგის სისუსტედ. ამ ასპექტში ნიუკომბი და ლეივერი უფრო ძლიერები იყვნენ, მაგრამ მარტო ეს ჩოგბურთში ბევრს არ ნიშნავს.

დღეს ბორგი ნამდვილი ფენომენია. ჯერ არ ყოფილა სპორტსმენი, რომელსაც სხვადასხვა საფარიან კორტებზე ასეთი წარმატებებისთვის მიეღწიოს — 1976 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი ხდება დარბაზში, წელს კი გაიმარჯვა გრუნტიან კორტებზე რომსა და პარიზში, აგრეთვე, უიმბლდონის ბალახიან კორტებზე.

ოთხი წლის წინათ, როდესაც ბორგმა პირველად უიმბლდონის ტურნირზე ნახევარფინალამდე მიაღწია, ნიუკომბმა განაცხადა: „სანაძლეოს ვდებ, რომ იგი აქ ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს — პირით ხაზზე თამაშით უიმბლდონის ჩემპიონი ვერ გახდება“. ბორგმა ბალახზე თამაშის სტილიც კი შეცვალა, სხვა ხასიათი მისცა — იგი უმთავრესად პირითი ხაზიდან იმარჯვებს. ბორგის ბევრ მოწინააღმდეგეს ნასტასეს წინააღმდეგ თამაში ურჩევნია, რადგან რუმინელი ლამაზად, მრავალმხრივად თამაშობს. შვედი კი მონოტონურია, მანქანასავით მუშაობს. ასეა თუ ისე, ბორგი ბორგად რჩება. ინგლისელმა პერიმ, რომელმაც 42 წლის წინათ ბორგის მსგავსად 3-ჯერ ზედიზედ მოიგო უიმბლდონის პირველობა, დაიწყო შვედის შეხვედრების ამსახველ სურათებში ქექვა, რათა მისი თამაშის სტილი დაეხასიათებინა: „ბიჭი ჩოგბურთის ჯადოქარია. თრმოცდამეხუთე სართულიდან რომ გადმოაგდო, ადგება და თამაშს გააგრძელებს“.

როდესაც ბორგს ჰობის შესახებ ეკითხებიან, იგი მხრებს იჩეჩავს და ცოტა გაოცებით პასუხობს: „რა საკითხავია, რასაკვირველია ჩოგბურთი. თავისუფალი დრო, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა მაქვს, ვამჯობინებ შინ, ჩემს დანიშნულთან. რუმინელ სიმონესკუსთან და წიგნებთან ერთად გავატარო. გადაწყვეტილი მაქვს მოვხსნა ყველა დღემდე არსებული რეკორდი ჩოგბურთში“.

**გერმანულიდან თარგმნა მ. რადიანმა.**

## ჭადრაკი

### ლიდერი დამარცხდა

**ნიკოლაევი**, 10 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალში V და VI ტურები გათამაშდა.

V ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) მოუგო ო. პედკოს (ჩელიაბინსკი). ყაიმზე შეთანხმდნენ ე. ერუსლანოვა (ვორონეჟი) — მ. წერეთელი (თბილისი), ტ. ფომინა (ტალინი) — ტ. ვორონოვა (ნაბერეჟნიე ჩელნი). VI ტურში პირველი მარცხი იწვნია ე. ფატალიბეკოვამ (მოსკოვი), რომელსაც ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) მოუგო. ნ. გურიელმა გაიმარჯვა მ. წერეთელთან. დაზავდნენ ვორონოვა — ტიტორენკო და თ. მინოგინა (მოსკოვი) — ლ. ლისენკო (კიევი).

თ. ხუგაშვილი დაუზავდა ლევიტინასა და ვ. სტერნინას (მოსკოვი) IV და V ტურებიდან გადადებულ პარტიებში.

6 ტურის შემდეგ დაწინაურდა ი. ლევიტინა — 4,5 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ე. ფატალიბეკოვა — 4 (1), თ. ხუგაშვილი, ტ. ვორონოვა — 3,5-3,5 (1-1).

**ვ. მაჭავარიანი.**

## ფეხბურთი

**ბრაზილიის** ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა დირსეუმ კონტრაქტს მოაწერა ხელი მექსიკის „ამერიკასთან“.

**1978 წლის** შედეგების მიხედვით № 1 ფეხბურთელად აშშ-ში მიჩნეულია იტალიელი ჯ. კინალია, რომელიც ნიუ იორკის „კოსმოსში“ გამოდის. იგი ამავე დროს ლიგის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელიცაა (34 გოლი).

**საფრანგეთის** ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო ბელგიის „ანდერლეხტს“ — 1:0. ანალოგიური მატჩი გაიმართა ინგლისის „ლივერპულსა“ და ავსტრიის ნაკრებს შორის. ანგარიში აქაც 1:0 იყო, მაგრამ გამარჯვება საკლუბო გუნდს — „ლივერპულს“ დარჩა.

**მას** შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გრინვუდი არგენტინიდან დაბრუნდა, ინგლისური ფეხბურთის მესვეურებმა გადაწყვიტეს პირველი, მეორე და მესამე ლიგის მწვრთნელთა კონფერენციის მოწყობა. აქ უნდა განიხილულიყო მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები, ინგლისის ნაკრების შემდგომი გეგმები, მასთან კლუბების თანამშრომლობის საკითხი.

## მძლეოსნობა

**ძალოსანთა** საერთაშორისო ფედერაციის (ივფ) მორიგ სხდომაზე, რომელიც დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ქალაქ გეტისბერგში (პენსილვანიის შტატი) გაიმართა, ამ საერთაშორისო სპორტული გაერთიანების 107-ე წევრად მიღებულ იქნა ბანგლადეშის ძალოსანთა ფედერაცია.

ამავე სხდომაზე ივფ-მ დაამტკიცა მომავალი სამი სეზონის მნიშვნელოვან შეჯიბრებათა კალენდარი. 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მეხიკოში გაიმართება, ევროპისა კი—სოფიაში, ხოლო ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ჩატარდება. 1980 წელს ოლიმპიურ ტურნირთან ერთად მოეწყობა ევროპის პირველობა (ბელგრადი) და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი (მონრეალი). საფრანგეთის ქალაქ ლილი 1981 წლის მსოფლიო და ევროპის პირველობათა მონაწილეებს უმასპინძლებს. ამ წელს ჭაბუკები ანკარაში იასპარეზებენ.

## აფროსნობა

**ბულგარეთის** საკურორტო ქალაქ ნესებრის მიდამოებში გაიმართა ევროპის პირველობა აფროსნობაში იუნიორთა შორის. „ფინის“ კლასით გამარჯვებისთვის 15 ქვეყნის 36 ეკიპაჟი იბრძოდა. ყველას აჯობა ლენინგრადელმა გ. სოლოვიოვმა.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02245